№ 43 თებერვალი 25, სამშაბათი. 1886 თებერვალი 25, სამშაბათი № 43

გაზეთი ღირს:					
თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაწერად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაჭროს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 24 თებერვალს

1870 წლამდე, როგორც მოგეხსენებათ, ევროპაში პირველი ადგილი ეჭირა და უპირატესი ხმა ჰქონდა საფრანგეთსა, რომელსაც თითქმის ოცი წელიწადი განაგებდა ნაპოლეონ III. 1870 წელს ბისმარკმა თავს-ზარი დაჰსცა საფრანგეთსა, მთელი ნემეცობა გააერთა, პრუსიის კოროლი ვილჰელმი მთელის გერმანიის იმპერატორათ დასვა. მას აქეთია პირველობა და უპირატესობა გერმანიამ დაიჭირა ევროპაში და ბისმარკმა ისე შეჰბოჭა და შეჰკრა ევროპის საქმეები, რომ უიმისოდ თითქმის არც ერთი საქმე არ ასტყდება ხოლმე და არც ერთი საქმე არ გათავდება.

ძვირად უზის ევროპასა ბისმარკის, ანუ უკეთ ვსთქვათ, გერმანიის ასეთი ყოფა. გერმანიამ ისე მოაწყო თავისი საქმე, რომ, როგორც ამბობენ, ორ კვირაზედ თუნდა ერთ მილლიონ ჯარს გამოიყვანსო, კარგად გაწურთნილს, კარგად შეთოფ-იარაღებულს და ასეთს სამხედრო შტაბს და გენარლობას, თუ აფიცრობას წარმოადგენსო, რომ ევროპაში მისი ბადალი არსად მოიპოვებაო. ამის გამო ყველანი, რომელნიც კი მეჰზობლობენ გერმანიას, ჰცდილობენ, რომ ყოველთვის მზად იყვნენ დასახვედრად, რადგანაც იციან—ბისმარკს ყოველთვის მადა აქვს უპატრონოდ დაგდებულს ლუკმას დაეპატრონოსო. ესეც იციან, რომ ბისმარკი მეტად მოხერხებული კაცია; საქმეს ისე მოიყვანს ხოლმე, რომ, როცა ერთის მტრის, თუ მოპირდაპირის გათახსირება უნდა, მეორე მტერს, თუ მოპირდაპირეს გაიმეგობრებს ხოლმე და პირველს რომ ანდერძს აუგებს, ახლა გამეგობრებულს დაეჯახება და ტყავს აძრობს.

დანიაზედ რომ გაილაშქრა, თავისი მტერ-მოყვარე ავსტრია მოიშველა, ჩამოართვა დანიას შლეზვიგ-გოლშტინია და ავსტრიას პირში ჩალა გამოავლო. ეგ კიდევ არაფერი. ეგ რომ ეგმარებინა ავსტრიისათვის, ვინ რას იტყოდა. მოუბრუნდა ახლა ავსტრიას, ცხვირ-პირი შეალეწა, გამოდევნა გერმანიიდამ და პირი აღმოსავლეთისაკენ აქმნევინა. საფრანგეთმა, თუმცა მაშინ ბალანი აუშვა, მაგრამ ბისმარკმა მოატყუა: შენ დამაცალე, ერთი ავსტრიას მოვრჩეო და შენც შენსას გარგუნებო. რასაკვირველია, არა არგუნა რა და, თუ გნებავთ, არგუნა კიდეც. ავსტრია, რომელსაც დიდი ინტერესი ჰქონდა, რომ პრუსია ისე არ გაძლიერებულიყო, ისე შეასუსტა, ისე დაამარცხა ბისმარკმა, რომ კრინტიც ვერ დასძრა, როცა ბისმარკმა თავისი ძლევა-მოსილი ჯარი მიუსია საფრანგეთსა. რუსეთსა და იტალიას კი მაშინ აღუთქვა, რომ ოღონდ თქვენ ხელს ნუ შამიშლითო და შენ, რუსეთო, პარიჟის ხელ-შეკრულობა, რომელიც შენთვის ასე მავნებელია და რომელსაც ნაპოლეონი III ასე მაგრად ინახავს შენს საწინააღმდეგოთაო, დახიე და ცეცხლს მიეციო და შენ, იტალიავ, შენი დიდის ხნის წყურვილი მოიკალ და შენი სანატრელი დედა-ქალაქი რომი დაიჭირეო, ის რომი, რომელსაც იგივე ნაპოლეონ III არ განებებსო. ყველანი ასე მოითათბირა, თვითონ საფრანგეთი ცალკე გაიგდო, მიწასთან გაასწორა, ორი ლაზათიანი პროვინცია ჩამოართვა, გერმანია გააერთა და რუსეთმა პარიჟის ხელ-შეკრულობა გააუქმა, იტალიამ რომი დაიპყრა.

ამ სახით ავსტრიის შემწეობით დანია დაამარცხა, საფრანგეთის მოთათბირებით ავსტრიას ტყავი გააძრო, ავსტრიის დაუძლურებით და რუსეთ-იტალიის მომხრეობით საფრანგეთზედ გაიმარჯვა და ამ გზით თვითო-თვითოდ გაინაპირა თავისი მეტოქენი, თვითო-თვითოდ და ცალ-ცალკე დაჰლახა. მართალს ამბობენ ზოგიერთნი, რომ დანიაზედ ბისმარკის გამარჯვება ავსტრიის დამარცხება იყოვო, ავსტრიაზედ გამარჯვება—საფრანგეთის დამარცხებაო და საფრანგეთზედ გამარჯვება ვისი დამარცხება იქნება, ამას ბოლო გამოაჩენს.

ყველას, ვისაც ასეთი საქმეები დააწია ბისმარკმა, რასაკვირველია, გულში ხვანჯი ჩაჰყვებოდათ და თქმა არ უნდა, უთვალთვალებენ ერთი როგორმე განსაცდელში თავი გაიბას გერმანიამ, რომ ჩვენ ჩვენი ჯავრი ამოვიყაროთო. ბისმარკმა ეს ძალიან კარგად იცის და ამიტომაც მთელი გერმანია ერთს უშველებელ გაზარმათა აქვს გადაქცეული. რაკი ერთი ამისთანა ძლიერი სახელმწიფო, როგორც დღეს გერმანიაა, ასეა, რა თქმა უნდა, რომ სხვანიც ეგრე უნდა მოიქცნენ, სხვათაც ჯარის სიმრავლეზედ, ჯარის შეთოფ-იარაღებაზედ უნდა მიქცეული ჰქონდესთ, თუ არ მთელი, დიდი ნაწილი ყურადღებისა მაინც. ამიტომაც მთელი ევროპა ერთს დიდს სამხედრო ბანაკად არის გადაქცეული, აუარებელი ფული და სიმდიდრე ევროპისა ამაზეა გადაგებული და რაც მკვიდრთა შორის ევროპაში ჯან-მრთელია, საღია, ძალ-ღონიერია სულ ამაზედ არის მომცდარი. სიმძიმე დღევანდელის დღისა ყველას ერთნაირად კისერზედ აწევს და ყველას ერთნაირად აკვნესებს. ეს სულ ბისმარკის ეგრედ წოდებულ «მილიტარობის» ბრალია და დიდხანს აიტანს ამას ევროპა თუ არა, ღმერთმა უწყის. ბევრი კაცია დღეს ევროპაში, რომ მაგ მილიტარობას ებრძვის. სახელოვანი მამულის შვილი ისპანიისა და ამასთან გამოჩენილი მეცნიერი და ორატორი კასტელიარი, საცა კი შეხვდება, არც სიტყვას და არც თავის შესანიშნავს ნიჭს არა ჰზოგავს ამ გერმანიისაგან შემოტანილს მილიტარობის დასამხობლად. თვითონ გერმანიაშიაც უკეთესნი გერმანიელნი ამ მილიტარობის ბოლოს მოღებას დაუცხრომელად ჰცდილობენ. მართლადაც, ევროპა გაადარიბა, გაადატაკა ამ გვარმა მდგომარეობამ. რასაც ევროპა ჰშრომობს, რაც მოჰყავს და რასაც აკეთებს თითქმის სულ ეს მილიტარობა სვავსავითა ჰყლაპავს და სარჩო-საბადებელს მოკლებული უმრავლესობა ჰჩივის და ჰღრტვინავს. საკვირველია, რა ინახავს ამოდენა ჯარს, ვინ იხდის ამოდენა ხარჯს, როდემდის შეიძლება ეს ასე იყოს და რა უნდა მოჰყვეს ამისთანა მდგომარეობას? ამაებს რომ დაუფიქრდება კაცი, ტანში ჟრუანტელი უვლის... სათავე ყოველ იმისი, რაც დღეს ადამიანს აფრთხობს და შიშის ზარსა ჰცემს, ჩვენის ფიქრით, ამისთანა ყოფაში უნდა მოიჩხრიკოს, ამ ყოფაშია ყოვლის-ფრის დასაბამი. ბევრი რამ, რასაკვირველია, ახლოს და თვალად ადვილად დასანახავ მიზეზებს ჰბრალდება ხოლმე, მაგრამ მიზეზთა მიზეზი კი სულ ეს შეუსაბამო ყოფაა, ამისთანა ყოფის მათრახის წვერია, რომელიც ასე შორსა ჰსცემს და ასე შორსა ჰსწვდება.

გერმანის უპირატესობამ ევროპაში ასეთი ბედი შეაწია ევროპასა; ბისმარკის «რკინისა და სისხლის»

ფელეტონი

ტფილისიდამ თეირანს

(წერილი მეგობართან)

შენ, ჩემო ჰამზა, გაგკვირვებია, რომ «გურჯისტანის» რედაქცია პირველ №-ში ასე ვრცლად ლაპარაკობს ლიტერატურულ ზრდილობაზედ. განცვიფრებული მეკითხები: რა მიზეზიაო? საკვირველი არა არის-რა, ჩემო კარგო. ლიტერატურული უზრდელობა, ანუ, როგორც გურჯები ამბობენ, ცოფი აქ ისეთს სენს და ჭირს შეადგენს, რომ მასზე ლაპარაკი თავს არაეის მოაბეზრებს. ეს ცოფი აქაური მწვავე ვარამია. ჩემის აზრით, ზრდილობიანს რედაქციას ბევრი რამე არ გამოუაშკარავებია, ალბად იმიტომ, რომ «ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება». სენს და ჭირს, როგორც იცი, წამლობა უნდა და რედაქციასაც განუზრახავს მოსპოს როგორმე ეს ლიტერატურული სნეულება. დროც არის!.. მეტადრე ამ ბოლოს დროს ავად-მყოფობა ისე გავრცელდა, რომ მთელი ასპარეზი ლიტერატურისა თითქმის ხელთ დაიპყრა. ხუმრობა გაშვებით, ზოგიერთნი კიდეც ჰფიქრობდნენ პარიჟიდამ მოეწვიათ სახელოვანი ექიმ-ბაში პასტერ-ოღლი (აქაურბა ჯანაოზებმა ვერა გააწყეს-რა) და შეევედრათ—მოზარდს თაობას მაინც აუცერიო ცოფი და ამითი მაინც უშველე გურჯისტანსაო... ამბობენ, პასტერ-ოღლი ცოფიან პირუტყვებსაც კი არჩენსო; რა ვიცი, კაცებს როგორ არ მოარჩენდა! მე რომ მკითხონ, თუ საქმე აცრაზედ მივარდა, აწინდელს ავად-მყოფებს უთუოდ ნესტრით უნდა აუცრან; ნესტარი მოუცილებლად საჭიროა, იმიტომ რომ იგი ორ-პირი მახვილია და კარგად მოქმედობს... თორემ გურჯებმა რომ გულ-ხელი დაიკრიფონ და ადამიანის პიროვნების უფლებაზედ მორთონ ქადაგება, არა გამოვა-რა. გარწმუნებ, ჰამზა, რომ აქაური მოლიტერატურე ბერიკა მაინც არ დასცხრება, თუნდა ზედ თავზედ დააბერტყონ ჰუმბოლტ-მილლ-ლაბულეს ფილოსოფია... დიდი ხანია რაც ჰქადაგებენ, მაგრამ საქმეს არა ეშველა-რა: ბერიკაობა თავისას არ იშლის და მისი ერთად-ერთი ბაირაღდარი უფრო ჰლაღობს.

რადაო, რა მიზეზიაო? იქნება მკითხო. მიზეზი ისაა, ჩემო ჰამზა, რომ ბერიკაობას ლიტერატურული ბრძოლა და პიროვნების შეურაცხ-ყოფა ერთი-ერთმანეთიდგან ვერ გაურჩევია. ამ მიზეზის მიზეზი ბევრი კიდევ სხვა რამეა... მაგრამ, ჩემო ჰამზა, ლიტერატურულს მოღვაწეობას თავისი წმინდა მოვალეობა აქვს და კაცის შეურაცხ-ყოფობა ხომ წმინდა მოვალეობა კი არა, ბოროტ-მოქმედება და დანაშაულობაა... ეს მარტივი ჭეშმარიტება ბერიკაობას არა სწამს და თვით ლიტერატურული ბრძოლაც თავისებურად ესმის—ლანძღვასა, თუ ლანძღვა-თრევაში ყველას ვჯობივარ, ამ ფარ-ხმალს ვის დავანებებო... ილანძღებიან კიდეც და მართალი უნდა გითხრა, ჰამზა, კარგადაც ილანძღებიან!... რა ჰსწადიანთ, რას შეჰნატრიან? გატეხილი უნდა გითხრა, ჩემო ჰამზა, რომ ამოდენი ხანია გურჯისტანში ვარ და მეც ვერ გამიგია—რა ჰსურს ბერიკაობას, რომელს მოძღვრებას და მიმართულებას უარ-ჰყოფს... მეტოქენი ვართო, ჯერ ძველი ლიტერატურული შენობა უნდა დავარღვიოთ და მერე ახალს ავაშენებთო, ასე გაიძახიან. კარგი და პატიოსანი, მაგრამ რითია ცუდი ეს ძველი მწერლობა—ამას არას დაგიდევენ... უნდა დავარღვიოთო... ისიც ცალიერის სიტყვებით! არც მთავარი აზრი, არც რაიმე პრინციპი... აბა ეს ყოველი ბერიკაობისათვის რა საჭიროა: ლიტერატურული შენობა და ბალღების ხუხულა ხომ ერთი და იგივეა!.. არ ვიცი, ჰამზა, არხიტექტორს და კალატოზებს სად იშოვნიან, მაგრამ ტფილისი დიდი ქალაქია...

მე იმას არ ვამბობ, ჰამზა, რომ ლიტერატურულს შენობას, რომლის დარღვევა ჰსურთ, განახლება არ ეჭირვებოდეს. ლიტერატურა ყოველთვის უნდა მოძრაობდეს, უნდა წინ მიდიოდეს, ახალ აზრებს მისდევდეს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს ხერხსავით. ერთს წერტილზედ გაჩერება ჰკლავს ცხოვრებასაც და ლიტერატურასაც. მუდამ ერთსა და იმავე აზრის ღაღადება, ახალის თავიდამ აცილება, «ძველის ცოხნა», ჩინეთური ფილოსოფიაა და გურჯისტანს ხომ... ზურგი კიდევ ჩინეთისაკენ აქვს... მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვისაც თავისი თავი ახალის წინა-მორბედათ მიაჩნია, ან აღმოსავლეთის ვარსკვლავათ, იმან ნამდვილს სწავლა-მოძღვრებას უნდა მოჰკიდოს ხელი, თითონაც ისწავლოს რამე და სხვასაც ასწავლოს. რუსეთის ქალაქების ბულვარებზედ და, თუ გნებავს, ტფილისის ბულვარზედაც აკრეფილი ფრაზები, шутъ-стрекоза-осколки-ს მოძღვრება ნამდვილი მოძღვრება როდია, სწავლა როდია, ჩემო ჰამზა. ვინც თავის გვამს ახალ-კაცად ჰრაცხს, იმან წინ უნდა წაიძღოლოს სწავლა-მეცნიერება, გულში ჩაინერგოს ამ მეცნიერების «უკანასკნელი სიტყვანი», დასკვნანი, «მეცნიერების ტაძარში» სულით და გულით განახლდეს და მერე ასპარეზზედ გამოვიდეს. საცა ასე არ არის, იქ საზოგადოებური მოღვაწეობაც ცრუპენტელობაა და სხვა არაფერი. გურჯისტანში კი ფრაზების ლაწა-ლუწსა, «Анекдоты и Каламбуры»-ს მოძღვრებას თავის თავი მეცნიერებათ მოაქვს და ლიტერატურის სახელით დაიარება?.. და საკვირველი, საოცარი უფრო ისაა, რომ ამ მოძღვრებას და მეცნიერებას ჰსურს ააგოს ის წმინდა, ტურფა შენობა, სადაც უნდა მოძრაობდეს მთელის ერის ლიტერატურის გენია!... ეს სხვაგან არ გაგონილა... კიდეც ამიტომ, ჩემო ჰამზა, აქ «ახალ-გაზდობის» ერთს წყობას ნდობა დაეკარგა, სახელი გაუტყდა. მარტო ილანძღებითო, დაიცინებითო, და «სასარგებლოს» კი არასა სწერთო, შუშუტა-

პოლიტიკამ ასეთი ამბავი ჩამოაგდო ქვეყნიერობაზედ, ვამბობთ ქვეყნიერობაზედ, იმიტომ რომ დღეს მთელის ქვეყნის ბედსა თითქმის მარტო ევროპა განაგებს და ატრიალებს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ბისმარკი ვერ გაჩერდება. გერმანიის საქმე ჯერ დამში მოსული საქმე არ არის; ბისმარკს ჯერ კიდევ ბევრი რამ საფიქრებელი აქვს, რომ ის დიდებული შენობა გერმანიისა, რომელიც ამოდენა სიმაღლემდე უკვე ამოიყვანა, არ დაირღვას და თავზედ არ წამოენგრეს. რა არის საჭირო გერმანიისათვის კიდევ და რა უფრთხობს ძილს ბისმარკსა,—ამაზედ ხვალ მოვილაპარაკოთ.

ახალი ამბავი

⁂ დიდ მარხვის პირველ ორშაბათს ყოველთვის ტფილისი წარმოადგენს არა ჩვეულებრივს სანახაობას, ეს ყეენობის დღეა. დიდი ხანია ქალაქს არ უნახავს წლევანდელისთანა გაჩაღებული ყეენობა ქალაქის ქუჩებში. დილით ადრიდგან ორ საათამდე სხვადა-სხვა უბნის ყეენები დადიოდნენ დიდ ქუჩებში და ბაზრებში, მისდევდა მრავალი ამალა და ხალხი. ყეენები იყვნენ შემდეგის უბნებისა: კუკიისა, ავლაბრისა, სოლოლაკისა, ხარფუხისა და შუა-ქალაქისა. ყველაზე უკეთესი კუკიისა იყო, მეორე სოლოლაკისა და ავლაბრისა. კუკიის ყეენის ამალა ასე იყო, წინ მოციოდნენ ჩაცმული და ქუდ-მობრუნებული ხელ-ჯოხიანები, მებაირაღები, თეთრ-წითელის ბაირაღებით და ალმებით, მათ უკან ზურნა-ნაღარა, პირველად ცხენზე იჯდა ევროპიულ სამხედრო ტანისამოსით ჩაცმული მსუქანი აპელატებით. ეს მხედარი ხმალ-ამოღებული მიუძღოდა ყეენსა. ამას შემდეგ თვით ყეენი სახედარზე თუ ჯორზე იჯდა პირ-გამურული, ტყავ-გადმობრუნებული; ხელში ბაირალი ეჭირა ვაშლ-გარჭობილი. მას უკან მეფე-დედოფალი, ქართულის ფოჩებიან გვირგვინებით, ფერად-ფერად ფარჩებში და სათეატრო ტანისამოსით მორთულები. მათ მოსდევდნენ სამასკარადო ტანისამოსით მორთულები. გარს ამათ მარჯვნივ და მარცხნივ ეხვივნენ ხელ-ჯოხიანები, ჯოხებით და მებაირაღები ბაირაღებით, რომელნიც ყეენის სალამ ფულს აგროვებდნენ. ამ ამალას ხალხი დიდძალი დასდევდა. ყველაზე მომეტებული ხალხი ავლაბრის და სოლოლაკის ყეენებს დასდევდა, რადგანაც უმეტესის მასკარადულის და სათეატრო მოწყობილებით იყვნენ მოკაზმულნი. ეტყობა რომ თეატრს და ცირკს თავისი გავლენა ჰქონია მორთულ-მოკაზმულობაზე. ყეენები თუმცა ერთმანერთის უბნებშიაც დადიოდნენ, ძველანდებურად ჩხუბს არ მართავდნენ.

⁂ როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ზემო ალექსანდრეს ბაღი დღეს შეკრულია, რადგანაც აქ უნდა აშენდეს სახლი სამხედრო მუზეუმისათვის. ზემო ბაღის აუზი შადრევნითურთ მოსთხარეს და შუა ბაღში გადაიტანეს. როცა ამ აუზისათვის გასჭრეს მიწა, შიგ მრავლად აღმოჩნდა ადამიანის ძვლები. აღმოჩნდა აგრეთვე საფლავის ქვა ზედ-წარწერით. ეს ზედ-წარწერა მიწისაგან ისე გადაფხეკილა, რომ მხოლოდ რამდენისამე სიტყვის ამოკითხვა-ღა შეიძლება. უფრო მრავლად გამოჩენილა ადამიანის ძვლები ზემო ბაღში, საცა საძირკველი გაუჭრიათ სამუზეუმო შენობისათვის.

⁂ გაზ. «Нов. Обозр.» სწერს, რომ «მოსკოვსკი ბალკაში» კიდევ ერთი მკითხავი გამოჩენილა (ავლაბარში, როგორც ყველას მოეხსენება, რამდენიმეა), რომელიც ჩეჩქივითა ხვეტავს უზალთუნს, აბაზს და მეტსაც და მომავალს ბედს უკითხავს და უმხილებსო. ეს მკითხავი არამც თუ მარტო ფულს იღებს, არამედ ჯერ თავზე აფურთხებს, ვისაც უკითხავს, მერე დანაფურთხალ ალაგს მიღებულს ფულს დაადებს, დაიწყებს რაღაცაების ბუდღუნსაო და მოუყვება წარსულის, აწმყოის და მომავალის მბობას. ამ კაცს დილიდაამ შუადღემდის გარს ახვევია მთელი ჯგუფი ქალებისა და კაცებისაო. როდესაც რომ გულს მოიჯერებს ყველას შედუქებითაო, მაშინ შეიკეტება და აღარავის აღარა ნახულობს ხოლმეო.

* * *

ნაკვესი

ერთმა მოდიდო ცხვირის პატრონმა რკინის გზის ვაგონში ფანჯრიდამ ყურება დაიწყო და ფათერაკად ფანჯრის მინა გასტეხა, თითონაც ცხვირი გაეფხაჭნა და სისხლმა დენა დაუწყო. კონდუქტორები შემოესხივნენ და მინის ფული სამი მანათი მოსთხოვეს. დიდის ცხვირის პატრონმა უთხრა:

— ამ ფულს კი გადავიხდიო, მაგრამ ცხვირს ვიღა მიზღავსო.

კონდუქტორმა ხუმრობაზედ ხუმრობით უპასუხა!

— შე დალოცვილო, მაგოდენა ცხვირი ვაგონში რად შემოგქონდა, «ბაგაჟად» უნდა მიგეცაო.

ა. თ.

სომხური თეატრი

ყოველ-გვარი ხელოვნება მწარმოებელისაგან თხოულობს თავდა პირველად ნიჭს და ჭკუას. ნიჭს ხელოვნებაში შეაქვს მხატვრობა, სითბოება, გრძნობიერება, რომლითაც აცხოველებს, სულს შთაჰბერავს ხოლმე ხელოვნების საგანს, ჭკუას კი შეაქვს სინათლე, რომლითაც ხელოვნებას ანათებს და აზროვნებს. ნიჭი უჭკუოთ და ჭკუა უნიჭოთ ვერ დაჰბადამენ და ვერც წინ წასწევენ ხელოვნებას. საჭიროა რომ ეგ ორივე მომქმედი ნაწილი სრულს თანასწორობაში და თანხმობაში იყვნენ. «როლის გრძნობა» ყველას, ვისაც კი ოდნად მაინც მოეპოვება ნიჭი, ადვილად შეუძლიან, მაგრამ მარტო «გრძნობა» როდია საკმარისი,—საჭიროა აგრეთვე როლის მოსაზრება, «გაგება». ამ გვარად ყოველს ნიჭს ეჭირვება წინამძღოლი, უკედ რომ ვსთქვათ, ამხანაგი—ესე იგი ჭკუა. ამ გვარი თანხმობა, თანასწორობა ნიჭისა და ჭკუის შორის აუცილებელი საჭიროებაა განსაკუთრებით სასცენო ხელოვნებისათვის — არტისტისათვის. მხოლოდ ამ ორის უსაჭიროესის კუთვნილებისაგან შესაძლოა მოთამაშემ არტისტის სახელი გაითქვას. მაგრამ ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ყოველს ხელოვნების წარმომადგენელს, ყოველს ნიჭს, ყოველს გენიოსს, ყოველს არტისტს თავისი საფერა აქვს, სადაც მას შეუძლიან თავისი არტისტული ახოვანება გამოიჩინოს. საკმარისია და პირ-იქით არტისტისათვის ოდნათ მაინც გადასცილდეს თავის საფერას, რომ სასაცილო შეიქმნას. ეს პატარა წინა-სიტყვაობა, ჩვენის აზრით საჭიროა, რომ ბ-ნის ადამიანის თამაშობას შევეხოთ.

ბ-ნმა ადამიანმა თავის ბენეფისში დადგა შექსპირის ტრაღედია «ოტელლო». ეგ პიესა შექსპირის უკეთესს თხზულებათ ითვლება, ყოველისფრით. ამ პიესაში შექსპირის უსამზღვრო, უფსკრულსავით ღრმა ნიჭი ისეთს ცხოველს სიმართლეს მისწვდა, რომ ჩვენ «მდაბიო სიკვდილის შიშით» გაოცების მეტი აღარა გვრჩება რა. რავდენმა არტისტებმა და მწერლებმა გაითქვეს თავი ოტელლოს ან თამაშობით, ან კრიტიკულის გარჩევით. ვერც ერთს მწერალს ქვეყნიერებაში არა აქვს და ვგონებთ არც ექნება ისეთი შეუფერხებელი გავლენა კაცობრიობაზედ, როგორც შექსპირს. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი კუნჭული, სადაც ვიღაამ შექსპირის სახელი არ ისმოდეს, ან ახლოს მომავალში არ გაისმას.

სომხურს სცენაზედ ბ-ნს ადამიანის «ოტელლო» სრულებით დამახინჯებული იყო. სხვა რომ არა იყოს რა, თვითონ პიესა ისე იყო შეკრეჭილი, რომ იქ შექსპირისა არაფერი არ იყო. ჩვენ გვჯერა რომ შექსპირის პიესები შეუმოკლებლად ვერ წარმოიდგინება, მაგრამ არც ისეთი უწყალო კრეჭა უნდა, როგორც ამ შემთხვევაში გამოვიდა. შექსპირის ასეთი დამახინჯება სწორედ დიდს უმეცრებას გვიმტკიცებს და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ბ-ნ ადამიანს უკისრნია შექსპირის გაპარსვა; ჩვენ არ ვიცით როგორი თარგმანი იყო, მაგრამ ენის მცოდნენი ამბობდნენ, რომ ვიღაც ბ-ნი სულხანიანცის თარგმანი შეუწყნარებელი რამ არისო. არის კიდევ მეორე თარგმანი თურმე პატივცემულის და ჩვენის საზოგადოებისაგან ცნობილის ბ. ჩიმიშკიანისა და ამ თარგმანს ამჯობინებენ სომხურის ენის მცოდნენი და მოყვარენი. თვითონ კი ოტელლო, ბ-ნი ადამიანი, შექსპირის გმირის მაგიერ, ვიღაც ფრანგულს მელოდრამის «შავ კაცს» ჰსთამაშობდა. ბ-ნს ადამიანს სრულებით არავითარი საშუალება არა აქვს ოტელლოს აღსრულებისათვის, არც ხორციელი და არც სულიერი ღონე არ მოსდევს. ბ. ადამიანის ხელში ოტელლო ოტელლობას ცდილობდა. სცენა სენატთან სრულებით სუსტი იყო. გამოჩენილი მონოლოგი ბ-მა ადამიანმა ისეთის სხაპა-სხუპით წარმოსთქვა, რომელსაც ვერც ერთი უხეირო მოთამაშე ვერ იზამდა. სად იყო ოტელლოს დარბაისელი, მშვიდობიანი და დინჯი სიტყვა! მეორე მოქმედებაში უკეთესი სცენა ბ-ნს ადამიანს ვერ მოუვიდა—მიზეზი, როგორც მკითხველებს ეხსომებათ ჩვენი წინანდელი რეცენზიიდან, ხმის სისუტეა. როდესაც განრისხებული ოტელლო გამორბის თავისის დარბაზიდან კასიოს და მონტანის დასაწყნარებლათ, მაყურებელს შიშისაგან-თავზარი უნდა დასცემოდა. ბ-ნი ადამიანი კი მარტო გაჯავრებული იყო. დიდი განსხვავებაა გაჯავრებისა და აფეთქებულის გულის-წყრომის შორის. მესამე მოქმედება უკეთესია, მაგრამ თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ერთსავე და იმავე დროს ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმისთვის, ვინც როლს ყოველის თავის სულის სახსარით თამაშობს; ძნელია იმისთვის, ვინც მარტო ეფექტებით ხელ-მძღვანელობს—ბ-მა ადამიანმა ეგ მოქმედება სრულიად დასცარა. ნეტა სად გაუგონია ბ-ნს ადამიანს, რომ იმ დროს, როდესაც იაგო იჭვს უნერგავს გულში, ოტელლო ისე დამშვიდებული იყოს, რომ თითქო ალხაინობით ულვაშებს იგრეხავდეს,—ამ სცენაში ოტელლო ისეთს ყოფაშია რომ, ულვაშის გრეხა კი არა, ერთს ადგილს დადგომაც მშვიდობიანად არ

ქარაფშუტანი ხართო... ასეთის ლექსით იხსენიებენ გურჯები «ახალის რაზმის» ბერიკასა და სამართლიანადაც იხსენიებენ... კაი მოგცეს ალლახმა, ჩემო ჰამზა, რომ ახალი აზრი, ახალი ლიტერატურული მიმართულება და ახალი კილო კარგი რამ იყვეს, მაგრამ სამწუხაროც ისაა, რომ აწინდელი ახალი ცალიერი ბერიკაობაა; არც ახალი აზრია, არც ახალი მიმართულება და არც ახალი კილო. უბედურებაც იმაშია, ჩემო კარგო, რომ ახალის ყალიბის და ჯურის ლანძღვა-თრევა ახალის აზრის—მიმართულების სახელს იჩემებს, ახალის «პატენტით» დაიარება, თითქო ლანძღვა-თრევა ახალი რამე იყვეს ქვეყნიერობაზედ და გურჯისტანში!.. აბა დააცქერდი ახლა თვით ამ ლანძღვა-თრევის კილოს. ვიღამაცა სთქვა, რომ მწერალი კილოზე იცნობებაო. კილო, ჩემო ჰამზა, მწერლის გარეგანი სახეა და რაც კილო უმართებულოა და არა ზრდილობიანი, მაშინ აზრიც თავის ძალას მოკლებულია. მწერლის ზრდილობა მარტო იმითი როდი განისაზღვრება, რომ იგი მწერალი მტკიცედ ადგია სალიტერატურო აზრებს, არა,—თავაზიანი კილოც დიდი რამ არის. ვინ ამბობს? სიმახვილე, მოსწრებული სიტყვა, ჰიუმორი და სხ. მწერლის ღირსებას შეადგენს და თვით უდიდესმა მახვილგონებიანმა ჰეინემ სთქვა—სიმახვილე ჭკუის ნაკვესიაო; მაგრამ ამ ღირსებას ხომ მოკლებულია ახალის ყალიბის და ჯურის ლიტერატურული კილო... არც თავაზიანობა, არც შნო და მარილი, არც ფხა და სხვა სალიტერატურო საფანელი!... ამის მაგიერ დაბახანური სიტყვიერებაა! ნეტავი ამ სიტყვიერებაში სალაღობო მაინც რამე იყვეს... ერთის სიტყვით, ეს ის კილოა, რომელზედაც ურუსების პოეტი ლერმონტოვ-ოღლი ასე მშვენივრად ამბობს:

«Хотя-бъ забавно было свѣту!...
Въ чернилахъ вашихъ, господа,
И желчи ѣдкой даже нѣту—
А просто грязная вода».

ბერიკა-გმირთ წარმოუდგენიათ, რომ აწინდელის გურჯისტანელის ლიტერატურის არა-სანატრელი მდგომარეობა იმათი ბრალია, რომელნიც «ძველ მწერლებათ» ითვლებიან. ლიტერატურამ რომ ეს მწერლები თავიდამ მოიშოროს, საქმე გაიჩარხებაო; თუ ძველის დროის მწერლობას სახელი და ნდობა დავუკარგეთ, მწერლობასაც გზა გაეხსნება და აზროვნობა აჰყვავდებაო, ასე სჯის ახალის ფორმაციის გმირი. კიდეც ამიტომ მთელი მათი ძალ-ღონე მიმართულია «ძველების პიროვნებაზედ, მათს შეურაცხ-ყოფაზედ. შენც დამეთანხმები, ჩემო ჰამზა, რომ ამ მსჯელობაში იოტის ტოლა სიმართლეც არ არის. პირველად ესა, რომ ყველა ძველს, ე. ი. დიდის ხნიდამ სალიტერატურო ასპარეზზედ გამოსულს მწერალს, «ძველის» სახელი არ ეთქმის. შეიძლება გუშინ აეღოს ხელში კალამი, მაგრამ მოხუცებული მწერალი გჯობდეს აზრების და მიმართულების სიახლით. მეორედ ლიტერატურის მდგომარეობა, თუ გნებავთ, აყვავება სხვა საზოგადო მიზეზებზედ არის დამოკიდებული და არა მარტო ლიტერატორების პიროვნებაზედ. მესამედ—«ძველი» ლიტერატორების ბაშიბუზუყური ქელვა, მათის პიროვნების შეურაცხ-ყოფა მწერლობას გზას ვერ გაუხსნის, ვერ ააყვავებს, რადგანაც ეგრედ-წოდებული ძველი მიმართულება ისპობა ხოლმე მაშინ, როცა მის ადგილს იჭერს ახალი აზრი, იდეა, ახალის სწავლით და ცოდნით აღჭურვილი და შეიარაღებული ჭკუა-გონება. ისტორია ამტკიცებს, რომ «ლიტერატურულ კერპთა და ქურუმთა» შემუსვრა და დამხობა ადვილი საქმე როდია. ამას წინ უნდა უძღოდეს ახალი გონებრივი განათლება, ეს განათლება კიდევ ხანგრძლივს შრომას ითხოვს.

ეგრედ-წოდებულნი ძველნი მწერალნი პასუხსაც არ იძლევიან—რავდენიც გსურდეთ, ილანძღეთო, ლანძღვა-თრევა გონების სილატაკის და ზნეობრივის სიმახინჯის ნიშანიაო... მართალიც არის, ჩემო ჰამზა. ათასში ერთხელ თუ გაეპასუხებიან. ისიც «ძველებურადა»—დინჯად, დარბაისლურად; სასიამოვნო სანახავია, ჩემო ჰამზა, აქაური ლიტერატურული ბრძოლა: «ბერიკა-გმირები», რაც ძალა და ღონე აქვთ, ილანძღებიან: «ძველის რაზმისა» კი კათედრიდამ წყნარად ლექციებს კითხულობენ ლიტერატურულს ზრდილობაზედ, თითქო ბუზიც არ აჰფრენიათო, ვითომც აქ არა არის-რაო!.. ნეტავი შენის ყურით გაგაგონა!... აბა, თუ ბიჭები ხართ, თქვენი ახალი აზრი და მიმართულება გვიჩვენეთ და სეირს მაშინ ნახავთო... რასაკვირველია, ახალს აზრს და მიმართულებას სად უჩვენებენ, როცა არა აქვთ; ბრძოლის სალერღელი კი მეტად აშლიათ... ეჰ, ძმაო, ასეთია ეს მაცდური წუთის-სოფელი!...

შენც კარგად იცი, ჰამზა, რომ «ლიტერატურული კერპების» ქება-დიდება, მათი მონებურად თაყვანის ცემა, მათ წინაშე ლაქიაობა ცუდი ხელობაა. ეგრედ-წოდებულს ლიტერატურულს თავისებურებას, ლიტერატურის ფრთის-გაშლას—მაგისთანად არა უშლის-რა. მწერლობა სხვაა და კერპ-თაყვანისმცემლობა კიდევ სხვა. აქ, გურჯისტანში, ლიტერატურული კერპ-თაყვანის-მცემლობა, «ქურუმთა» ქება-ვედრება სრულებითაც არ შეადგენს საზოგადო მოვლენას, როგორც წარმოუდგენიათ «ბერიკა-გმირებს». როგორც შენც შეიტყობდი, ჰამზა, ამ გმირებს ყურადღება მიუქცევიათ ლიტერატურულს კერპ-თაყვანის-მცემლობაზედ და ეს არის ერთი მიზეზთაგანი, რომ იგინი ასე მკაცრად სდევნიან ძველ მწერლებს, მაგრამ სრულებით ცუდ-უბრალოდ,—აქ თუ დამნაშავენი არიან, რასაკვირველია, ისინი კი არა, არამედ ისინი, რომელთაც საკუთარი არა მოეპოვებათ-რა. არც ლაქიაობა შეადგენს ისეთს საზოგადო ლიტერატურულს მოვლენას, რომ ღირდეს მასზედ გამოლაშქრება. ერთი-ორი მაგალითი საზოგადო მოვლენა არაა.

შეუძლიან; იგი მრთელის არსებით უნდა ჰცასცასებდეს და ჰთრთოდეს თონესავით ანთებული და ცეცხლ მოდებული, ბ-ნი ადამიანი კი სავარძელში გამოიჭიმა. მეოთხე მოქმედებაში აკტიორს იმდენი სახელ-გამოსაჩენი სცენები აქვს, რომ ტყუილი ეფექტები საჭირო არ არის. ნეტა რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბ. ადამიანი, როდესაც ემილიას ფეულს მიუგდებს ტ თან უშტვენს, თითქო ძაღლს მკალი მუგდოო. ისეთი შტვენა იქნება კარგი იყოს კინის მესამე მოქმედებაში მაგრამ «ოტელლოში» ამისთანა თამაშობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მეხუთე მოქმედება არტისტმა მეოთხეზედ უარესად შეასრულა ბ-მა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ოტელლო როცა დეზდემონასა ჰკლავს, დარწმუნებულია მართალი ვარო, სამართლიანად ვიქცევიო და გაიგებს თუ არა შეცდომას, მაშინადვე იცვლება—ესე იგი შეუა-გონება ერევა. ამას თვითონ ოტელლო ამტკიცებს, როცა ჰკითხვენ ოტელლო სად არისო, ოტელლო უპასუხებს: ოტელლო კი არა, იგი ვინც ოდესღაც ოტელლო უოფილა, ესლა აქ არისო. დიახ ბ-მა ადამიანმა ვერ გამოხატა ის სასოწარკვეთილება, რომელიც მაყურებელს ცრემლს უნდა აფრქვევინებდეს. ერთის სიტყვით, ჩვენი წინა სიტყვები მართლდება, არტისტი მაშინ არის არტისტი, როდესაც თავის ქერქში ზის, და თუ თავის ქერქიდამ გამოვიდა, იგი სასაცილოა.

გალიკო—ია

დამაკვირდი!

თუ მადლის ქმნა გინდა, ნუ აცდევინებ: ვინც მალე ჰშველის, ერთი-ორად ჰშველის. (ალციატი)

* *

ჭეშმარიტი ხელგრძელება მაშინ არის, როდესაც კაცი თვითონ იკლებს, რომ სხვას შეეწიოს (მორი)

* *

წამხდარი გემოვნება ნიშანია წამხდარის სულისა. (ბუასტი)

* *

ვით მნიად წნორი ბერ-ფუყე
დაიგრიხების წნელად,
ეგრეთვე კაცი მცხოვანი
განისწავლების მნელად.
(დავით გურამიშვილი)

* *

დია სჯობს სრული საკვდილი
საშუალ ცხოვრებასა.
(მეფე ვახტანგ VI)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გამოჩენილი რუსეთის მწერლის გრაფ ტოლსტოის ახალი ქადაგობრივ-მოძღვრობითს მიმართულებას დიდს ყურადღებას აქცევს რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა. ჩვენს გაზეთშიაც არა ერთხელ ჩამოგვიგდია ლაპარაკი ამის შესახებ. აი ეხლაც გაზეთ «Варшавскій Дневникъ»-ში ვიღაც ქალი «В. О.» სწერს, რომ გრაფ ტოლსტოის განთქმული სოფელი «Ясная Помяна»

გლახაკთა და მოგზაურთ თავ-შესაფარად გადაქცეულაო. ყველას უსასყიდლოდ აჭმევენ, ასმევენ, განკითხვას აძლევენ ვის ფულით, ვის ფქვილით, ვის ტანსაცმელით,—ერთის სიტყვით, ვინც-კი რას ითხოვს, უარს არ ეუბნებიანო. გრაფი ყველას გულ-დამჯდარად უსმენს და ყველას დარიგებას აძლევსო.

მე დიდი ხანია ვიცნობ გრაფსაო, განაგრძობს ავტორი, მაგრამ ამ ბოლოს დროს ძალიან გამაკვირვა

იმ ცვლილებამ, რომელიც გრაფ ტოლსტოის შევამჩნიეო,—გრაფს აუჩემებია და სულ იმას გაიძახის: ცოლ-შვილს თავი უნდა დავანებოვო, გავშორდე ყველასაო, საკუთარის შრომით უნდა ვიცხოვროვო, როგორც უბრალო გლეხმა და არა როგორც მწერალმაო, მთელი ჩემი ქონება უნდა ღარიბებს გარდავცეო. გრაფ ტოლსტოის ცხრა სული შვილი ჰყავს;—უფროსმა უნივერსიტეტში შეასრულა სწავლა კიდეც, უნცროსი-კი ჯერ სულ ორი წლისაა. გრაფი ამჯობინებს, თავის შვილები ღვთის ანაბარას გაუშოს, ვიდრე შაუნახოს მათ ქონება და გლახებს არ გასცეს. ყველამ უნდა რაიმე ხელობა შეისწავლოსო და თავის ხელით გამოჰკვებოს თავის თავიო; ამიტომ თითონაც თურმე ხარაზობისთვის მიუყვია ხელი. უფროსმა შვილმა ჰკითხა თურმე: «რა სამსახური ამოვირჩიოვო»? მამამ უპასუხა: «წადი და ქუჩებში თოვლი ჰხვეტეო!»

გრაფი საშინლად იტანჯება, როდესაც სადილზე ლაქია ემსახურება, ჰსწყუხს აგრეთვე, რომ საცვალს ხშირად იცვლის და მრეცხავს აწუხებს.

ახალი მიმართულება გრაფისა, მისი აზრებიო, განაგრძობს კიდევ ავტორი, ცხადად გვიმტკიცებენო, რომ

გრაფ ტოლსტოის განუსაზღვრელი სიყვარული კაცობრიობისა უღვივის გულშიო, გულ-წრფელი სურვილი აქვსო, შეება მისცეს ყოველს დავრდომილს, განკურნოს ყოველი ტანჯულიო.

ყველა ამის შესრულება გულ-წრფელად ჰსურს გრაფ ტოლსტოის, მაგრამ ბევრი გარემოება უშლის ხელსა; საზოგადოება, სადაც გრაფი დაიბადა და აღიზარდა, ამ საზოგადოების აზრი, ჩვეულება,—ყველა ეს გზაზედ ეხიდება ტოლსტოის და ეს უფრო სტანჯავს მის მოსიყვარულე გულსაო.

* *

გაზეთ «Новое Время»-ში მოყვანილია პროფესორის მილლერის სიტყვა, რომელიც მას აქსაკოვის გარდაცვალების შესახებ უთქვამს. პატივ-ცემული პროფესორი სხვათა შორის უსაყვედურებს საზოგადოებას, რომ იგი ხშირად ცილსა სწამებდა გარდაცვალებულს აქსაკოვს და ეჭვი შეჰქონდა მის ჭეშმარიტს პატრიოტობაზედ. აი სხვათა შორის მილლერი რას ამბობს:

საზოგადოება და მეტადრე უფლებით მოსილი ნაწილი საზოგადოებისა უსაყვედურებდა აქსაკოვს, და მის ჭეშმარიტ პატრიოტობას ცილსა სწამებდაო. გარდაცვალებულმა ამ ცილის-წამებაზე ღირსეულად უგო პასუხი და უჩვენა, რომ ჭეშმარიტი პატრიოტობა იმაში მდგომარეობსო, რომ ყველა მამულის შვილს პატიოსნად შეეძლოს მამულის სამსახური, სიმართლის თქმა, და მთავრობის ჭეშმარიტი პატრიოტობა ის არისო, რომ გულდაწყნარებით შეეძლოს მართლის გაგონებაო.

დიდად შემცდარნი არიან, ვინც ჰფიქრობენ, ვითომც ჭეშმარიტი პატრიოტობა პირ-ფერობით ხმის ამოუღებლობა იყოსო. თვითონ ხელმწიფის სიტყვებმა ცხადად დაგვიმტკიცეს, რომ რუსეთის იმპერატორი აქსაკოვს ჭეშმარიტ პატრიოტად ჰსთვლიდაო, ამბობს ბოლოს პროფესორი მილლერი.

სახელდახელო

(ყბათ-ასალები—წყალ-წასალები ამბები)

მას აქედ, რაც ჩვენმა დრამატიულმა დასმა ჯვარს-აცვა ჰამლეტი ქართულ სცენაზედ, მას აქედ, რაც ამ ჯვარ-ცმით ალტაცებულმა «თეატრის» კრიტიკოსმა, ბ-მა კავთელმა, დაინახა «სრულიად ნათლად და ცოცხლად» შექსპირის ტიპების «რთული, მაღალი და აგრეთვე მდაბალი სულის წყობილებანი» და «ჰაერში დახატა ყველა თვითეული პირი, რომელნიც ბურუსით და ჯანყით არიან გარემოცულნი»,—მას აქედ, ვამბობ, მე არ გამომიცდია იმისთანა შიში, რაც ამ ერთ-ორს კვირაში. ამ შიშის მიზეზი ის ძალა იყო, რომელიც არც ჯოხით მოიგერება, არც პოლიციის მეოხებით დაითრგუნვება და არც დაისჯება ეგრედ წოდებული «საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის. რა არის ეს ძალაო? იკითხავთ.—მიწის ძვრა,—გიპასუხებთ მე.

* *

ეს უკანასკნელი მიწის-ძვრა მართლა რომ საგრძნობელი იყო და კიდეც უცვალა ფერი ზოგიერთებს. მიწა იძვრა ღამის პირველს საათზე, ზოლ-ზოლად და, როგორც ამტკიცებენ ზოგიერთები, თან გრგვინვაც მოჰყვა მას ძირიდამაო. გრგვინვისა რა მოგახსენოთ—არ გამიგონია და ვერაფერს ვიტყვი,—ხოლო კარები რომ დაჰფელა უხილავმა ძალმა ზოგიერთ სახლებში და არხეინად განსვენებული ტფილისელები კიდამ გადმოაბრძანა საწოლიდამ,—ეს კი ნამდვილია. რასაკვირველია, ქვესკნელეთის ძალთა ერთი შემოწყრომა არ შეგვაშინებდა მაინც-და-მაინც, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს პირველი არაა და ვინ იცის, შეიძლება არც უკანასკნელი იყოს. ამას წინედ, დედა მიწის მოულოდნელი ბუქნის წყალობით, თითქმის დაიქცა სულ ჩვენი რკინის-გზის სტანციის ევლახის არე-მარე. მართალია, ამ გზის მოხელეებზე ეს ახია და თუ მიწა-იძრა ევლახში—მარტო მათი ცოდვით იძრა, მაგრამ სადაც რკინის გზის მოხელეა, ყველგან ამნაირი სასჯელი თუ მიადგა მცხოვრებლებს,—ეხლავე ავიყაროთ და სადმე გავიხიზნოთ ის სჯობია. ცოცხლად მიწაში ჩავარდნა, უნდა მოგახსენოთ,—არაფერი სასურველია, განსაკუთრებით დიდ მარხვაში: ცოდვებსაც ვერ მოინანებ რიგიანად.

* *

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ხო შეგვარყია, მაგრამ ჩვენზე უფრო ჩვენი რწმუნება ზოგიერთ მეცნიერებისადმი შეარყია ამ მიწის ძვრამ. ამდენ ხანს რომ გვკითხათ ჩვენთვის: «ვის ექვემდებარება მიწის ძვრა, ვინ არის მისი გამკითხავი და გამომძიებელიო, პირ-და-პირ მიგითითებდით ტფილისის ობსერვატორიაზე: «აი, იქ სხედან ქვესკნელეთის გამგენი: იქ იციან—სით? როგორ? და რა ნაირად იძვრის მიწა-თქო!» ეს რწმუნება ჩვენ დიდ ნუგეშს გვაძლევდა: «თუ გაგვისქდა მიწა და ჩავემგზავრეთ წიაღსა შინა ტარტაროზისასა, ვამბობდით, აბსერვატორიის მეოხებით, ქვეყანა მაინც გაიგებს ჩვენს ამბავს და ისიც კარგია-თქო. თურმე ნუ იტყვით, ძალიანი შემცდარნი ვჰყოფილვართ. ზემოხსენებულის მიწის ძვრის შემდეგ მაგალითებრ, გაზეთების რეპორტიორები გაექანენ აბსერვატორიაში და მოსთხოვეს საჭირო ცნობები ამ აბსერვატორიის გამგეს: «აბა, როგორ? სით? რა მიმართულებით იძრა მიწაო?» ასწრებდენ ერთი მეორეს ახალ ამბების მოსიყვარულენი.

— როგორ თუ მიწაო? იკითხა თურმე გაკვირვებით გამგემ, თქვენ ამას ხუმრობთ, თუ მართალს ამბობთ?

— ხუმრობა რა თქვენი საკადრისია! იუცხოვეს რეპორტიორებმა. ხუმრობა კი არა, ვერა გვხედავთ, ფერი არ გვადევს? დილა ადრიანად, უუზმოდ გამოვარდით ამ სიშორეს საქმის გარემოების შესატყობათო.

— ცუდად გინებებიათო, უპასუხა

და რა არის თვით ეს «ქურუმ-კერპობა», რომელიც ასე გულს უკლავს ბერიკაობას? სხვა არაფერი, მარტო ლიტერატურული მეთაურობა, რომელსაც უფრო გარეგანი მნიშვნელობა აქვს; ვიდრე შინაგანი ძალა,—რედაქციის პაწია ლიტერატურულს წრეში თვითოეული წევრი თავისუფალი და დამოუკიდებელი პირია, მოვალეობასთან უფლებაცა აქვს... საცა მოვალეობა და უფლება აღიარებულია, იქ ხომ ცალკე ლიტერატორის რწმენა - მოძღვრება პატივ-ცემულია და შეწყნარებული... ლიტერატურული «ქურუმ - კერპობა», როგორც მოგეხსენება, ჰამზა, იბადება მაშინ, როცა არსებობს ასეთი თუ ისეთი ლიტერატურული სკოლა და იგი განაგებს გონებრივს მოძრაობას, მაგ., სკოლა რომანტიული, რეალური და სხ... სად არის ამ ნაირი სკოლა? გურჯისტანულის ლიტერატურის უბედობაც ისაა, რომ აქამომდე აქ სკოლას ფეხი ვერ მოუკიდნია, ნიადაგი ვერ უპოვნია, ალბად ულონობისა და უძლურებისა გამო. და თუ მიგვითითებენ ეგრედ-წოდებულს მამულის-შვილობაზედ, ეს ხომ სკოლა არაა,—ყველა პატიოსანი მწერალი ნება-უნებურად მამულის-შვილია, თუმცა მათ შორის განსხვავებაც დიდია... ბერიკაობას-კი რაღაცა სკოლა ელანდება!.. სად სკოლა და სად აქაური ლიტერატურა!? ეს კიდევ არაფერი,—საკვირველი ისაა, რომ ერთის რედაქციიდამ მეორეში გადასვლა ლიტერატურულ ღალატობად მიაჩნიათ... ლიტერატურული ღალატობა, ჩემო ჰამზა, ისაა, როცა ლიტერატორი უარ-ჰყოფს თავის უწინდელს რწმენა-მოძღვრებას (თუმცა ბევრჯელ ეს უარის-ყოფა ღალატობა არაა, რადგანაც ლიტერატორი ხშირად თავის უნებურად ძველს დედა-აზრებს სტოვებს და ახალს ითვისებს) და ერთის ბანაკიდამ მეორეში გადადის, ერთს დროშას აგდებს და მეორეს ხელს ჰკიდებს. რადგანაც ლიტერატურულს ღალატობას კავშირი აქვს ეგრედ-წოდებულს მიმართულებასთან და ეს უკანასკნელი კიდევ ხელზედ დაუხვევიათ, ამისთვის ამ მიმართულებაზედ უნდა შევაჩერო, ჩემო ჰამზა, შენი ყურადღება.

დღევანდელს ბერიკაობას თავის თავი ახალ მიმართულებათ წარმოუდგენია და რადგანაც ახალს გვერდით ძველი უდგია ხოლმე, ამისათვის აწინდელი გონებრივი მოძრაობა ორ მიმართულებათ გაუყვიათ: ახალნი ჩვენა ვართ და ძველნი თქვენაო. ამ შეხედულობაში უნდა მოიძებნოს ლიტერატურული საბუთი ბერიკაობისა, თუ კი მას რაიმე საბუთი მოეპოვება, მაგრამ საქმეც ის არის, ჰამზა, რომ ორი ლიტერატურული წყობა, ორი დროშა, ორი მიმართულება არსად არის და მათ ფარნით ვერ იპოვნის თვით დიოგენიც. მთელი გონებრივი მოძრაობა ერთსა და იმავე გზა-კვალს ადგია, თითქმის მთელი ინტელიგენცია ერთს წრეში მოთავსებულა. მე ამითი ის არ მინდა ვსთქვა, რომ ახალ-გაზდობა ახალს განათლებას არ ითვისებდეს და მათ განხორციელებას არ ჰლამობდეს; არა, — ახალ-გაზდობას ახალიც ჰსურს, მისკენ მიიზიდება კიდეც, მაგრამ ამ ახალს ჯერ საკუთარი გზა-კვალი არა აქვს გატკეპნილი და ამის გამო არც ახალი ლიტერატურული მიმართულება ეთქმის. ახალი ჯერ ლიტერატურაში არ არის განხორციელებული. მართალია, ზოგიერთა საზოგადო საგანთა შესახებ ახალნი იქნება სხვა აზრისა იყვნენ და არიან კიდეც, მაგრამ ეს ხომ წვრილმანობაა და არა მიმართულება... და ან სად არის ეს ახალი მიმართულება? თუ სადმე მიმართულებაა, იგი ისევ ძველებს მოეპოვებათ და მისი იარაღიც მათ უჭირავთ ხელში. პირველის შეხედულობით და ისიც როცა შორიდამ სჯიან, იქნება გურჯისტანში მიმართულება ეგონოს ვისმე, მაგრამ სინამდვილე კი სულ სხვას უჩვენებს. და თუ ეს ტყუილია, აბა, ჰამზა, დაასახელონ სად ჰსუფევს და ბრწყინავს ახალი მიმართულება... განა გაზეთს «ჯამბაზში»?!—თუ ყოველივე ეს მართალია, მაშ ბერიკაობას არა რაიმე ლიტერატურული საბუთი არ მოეპოვება და იგი, ვითარცა ღვარძლი, ძირიანად უნდა ამოვარდეს... მე ამ აზრისა ვარ, ჩემო ჰამზა. ვამბობ «ლიტერატურული საბუთი არ მოეპოვება» იმიტომ, რომ, საცა სწავლა-განათლების მოძრაობა მრავალ-კეცია, საცა ლიტერატურულს თუ საზოგადოებურს ასპარეზზედ რაზმი და წყობა მრავალია, საცა გონება ჰსჩქეფს და სდუღს, იქ პიროვნების დევნას, ცოტად თუ ბევრად, შესაწყნარებელი მიზეზი მაინც აქვს... აქ, ჩემო ჰამზა, თავისებური, ახალი არც აზრი აქვთ და არც მიმართულება, ბრძოლა-კი ჰსურთ... მაგრამ, ჩემო ჰამზა, ბერიკაობა იმის ბერიკაობაა, რომ იგი არ ემორჩილება არა რა კანონებს. აი გურჯებმა რისთვის უწოდეს ახალს ლიტერატურულს ბრძოლას ბერიკაობა!.. არ მეგონა, თუ გურჯებს ასეთი მოსწრებული სიტყვა ეცოდინებოდათ!..

მაინც რა არის მიზეზი ამ საყურადღებო სენისა?—მკითხავ შენ. მიზეზები ბევრია და რადგანაც, ჩემო ჰამზა, ყოველივე სენი ორლანოვანი მოვლენაა, ამისათვის პირველი მიზეზი კაცის ბუნებაში უნდა მოიძებნოს, მის სულსა და გულში. მაგრამ კაცის სულსა და გულში ხელების ფათური ჩემს ყორანში როდი სწერია, ჩემო კარგო. არიან გარეგანი მიზეზებიც. მათზედ შეიძლება ბაასი, მაგრამ, იქნება გარემოებამ ხელი არ შეგვიწყოს... რაც უნდა იყოს, ჰამზა, მე ეხლა ამისათვის არა მცალიან—ტფილისიდამ მივეშურები სხვა-და-სხვა ქალაქებში, დაბა სოფლებში: მინდა შევისწავლო ერთ-გვარი კორრესპონდენტობა (მოამბეობა, ჩვენებურად). საკვირველი და საოცარი ხელობააო. ბერიკაობის ბუდიდგან გადმოფრენილი ბარტყიაო... ვნახოთ!.. მშვიდობით, ჩემო ერთგულო. შენ ჩემზედ ხელს არ აიღებ, არავისზედ გამცვლი... თუ წერილი დაგიგვიანდეს, გულში არა ჩაიდო-რა...

მოლა ბაშირ.

ტფილისი.
10 ჯემათ-ულ-ევველ.
1303 ჰიჯრისა.

თურმე დინჯად გამგემ. ერთი რომ უუზმოდ სახლიდამ გამოსვლა დილ-დილობით მავნებელია და მეორედ, —მე რა იმისთანა თვალთ-მაქცი გამომნახეთ, რომ ის უნდა ვიცოდე რაც არც ერთმა თქვენთაგანმა არ იცის? თუ აბსერვატორიას ამბობთ, უნდა მოგახსენოთ, რომ პირ-იქით, სადაც ეს აბსერვატორია გაშენებულია, მიწის ძვრა იქ ყოველთვის უფრო ნაკლებია, თითქმის სულ არაა საგრძნობელი. ტფილისი ერთს მშვენიერს დღეს შეიძლება სულ დაიქცეს და ჩვენ ამ ამბავს თუ გაზეთიდამ არა, ისე სრულიადაც ვერ გავიგებთო,—დააბოლავა თურმე დამშვიდებით გამგემ და გაემგზავრა საუზმოდ.

— კარგი პასუხია, არა?—საუცხოვო! მაგრამ ერთს კი ვიტყვი მაინც: მეც რომ მომცენ წელიწადში კაი ჯამაგირი, ამიშენონ სახლი მტკვრის პირათ, იმ ალაგს, სადაც უფრო დიდი და მსუქანი ჭანარი იჭირება, დამიდგან მემრე სახლზე კოშკი, რომ უფრო არხეინად შემეძლოს ნასადილევს ჩიბუხის მოწევა,—მგონი მეც მოვახერხებდი ამისთანა პასუხის მიცემას, თუმცა მეცნიერათ სრულიადაც არ მიმაჩნია ჩემი თავი.

ასტრონომებია რაღა!..

ილ. ხონელი

* * *

დეპეშა

20 ფებერვალს

ბელგრადი. კოროლის ბრძანების ძალით მომქმედმა ჯარმა და პირველ მოწოდების ჯარის კაცთა საომარი იარაღი უნდა აიყარონ; მზადება შეიარაღებისათვის და მოწოდება ჯარის-კაცთა შესწყდა.

გრაფი კევენგიულერი უთუოდ ბუქარესტში დაინიშნება დესპანათაო.

სტამბოლი. საფრანგეთმა გამოაცხადა, რომ მხოლოდ მაშინ ვიქნები თანახმა ოსმალ-ბოლგართა მორიგებისა, როცა რუმელიასა და ოსმალეთს შორის საბაჟო მიჯნის საქმე გადასწყდებაო.

21 ფებერვალს

სოფია. მთავარმა ჯარს დახედა და შემდეგ გამოაცხადა, რომ მორიგება ჩამოვარდაო. ეს ამბავი სიხარულით მიიღეს.

ათინა. ამბობენ, რომ ავსტრიის კანონერკა და ინგლისის იახტა პირეაში მოვიდა, როგორც წინამბრძოლი ევროპიელთა ფლოტისაო. აღელვება ერისა ცოტაოდენად დასცხრა.

პარიჟი. სამეფო გვარეულობის წარმომადგენელთა განდევნის შესახებ საფრანგეთიდამ, პალატამ 353 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 112, დაათანხმა, რომ სხვა საქმეების განხილვას დაუბრუნდეთო, ჩვენ ვენდობით მმართებლობას და გვრწამს, რომ, თუ საჭირო იქნებაო მმართებლობა მოახერხებს სამეფო გვარეულობის კაცთა შესახებ ჯეროვანი ღონის-ძიება მიიღოსო.

სტოკჰოლმი კანონ-პროექტი ბაჟის დაწესების გამო სამზღვარ-გარეთიდამ შემოტანილს პურისათვის პირველმა პალატამ უარ-ჰყო.

22 ფებერვალს

ლონდონი. 8 დამნაშავეს ლონდონის არეულობისათვის სამის თვიდამ სამს წლამდე კატორღა გადაუწყვიტეს.

«რეიტრის სააგენტო» დარწმუნებით ამბობს, ვითომ დიდნი სახელმწიფონი ჯერ კიდევ არ მორიგებულან ერთმანეთში მასზედ, რომ პორტას გაუგზავნონ ერთობილი ნოტა. ამ ნოტაში უნდა ეწეროს, რა აზრისანი არიან დიდნი სახელმწიფონი პორტას ცირკულიარის გამო. ეს ცირკულიარი ოსმალეთმა შეადგინა იმ მიზეზით, რომ რუსეთმა წინააღმდეგობა გამოაცხადა ოსმალ-ბოლგართ მორიგების თაობაზედ.

გლადსტონმა გადასწყვიტა, რომ ირლანდიის საქმის მოწყობას შეუდგეს და თავის მოქმედებას საფუძვლად დაუდოს ირლანდიისათვის ცალკე მმართებლობისა და პარლამენტის დაწესება.

პარიჟი. ბირჟის გუშინდელის კრების დროს ვიღამაც გალერეიდამ რევოლვერი დასცალა და რაღაც სუნიანი წამლით სავსე შუშა გადმოაქცია; როცა ჩვენება ჩამოართვეს ამ კაცმა სთქვა, რომ პეტროვიჩი მქვიან, ანარხისტი გარო, დიდი ხანია ბირჟის აფეთქება მინდოდაო; ეს კაცი ჭკუაზე შეშლილიაო.

ნიუ-იორკი. ცხენის-რკინის გზაზე მოსამსახურეთა პირობა შეუკრავთ, ნუღარ ვიმუშავებთო; როცა პოლიციამ მოინდომა, ბოლო მოეღო ამ უწესოებისათვის, ქუჩის ხალხმა პირის-შემკვრელთა მხარე დაიჭირა და თავს-დაესხა პოლიციელებს. პოლიციელებს მეტი ღონე არა ჰქონდათ და იარაღს მიჰმართეს ხელი.

სოფია. მთავარმა ხელი მოაწერა დღეს ბრძანებას ჯარის დაშლის შესახებ.

იმ სერბიელთ, რომელნიც ომის გამო განდევნილ იყვნენ ბოლგარიიდამ, ნება მიეცათ, დაბრუნდნენ ისევ ბოლგარიაში.

ლონდონი. ჰერცოგი ედინბურგისა გუშინ მოვიდა სუდშის ნავთსადგურს და მიიღო უფროსობა ბრიტანიის ესკადრისა.

სტოკჰოლმი. მეორე პალატამ 2 კრონი ბაჟი დაასწესა 100 კილოგრამ არჯანოვისა და წმინდა პურზედ, სიმინდსა, მუხუდოსა და ცერცვზედ.

პარიჟი. «*Journal des Debats*» გვაუწყებს, რომ საბაჟო მიჯნა რუმელიისა და პორტას შუა გაუქმებულ იქმნაო.

ბირჟის კრებაზედ რომ უწესოება მოახდინა, ვიღაც გალლა—უბინაო კაცი და ტყუილის ფულის მჭრელი ყოფილა.

24 ფებერვალს

ბელგრადი. კოროლი წაბძანდა ნიშს, რომ, ვიდრე ჯარს შინ დაითხოვდეს, დიდის ამბით გამოეთხოვოს.

სტამბოლი. სახელმწიფოთა მიმართ გაგზავნილ ნოტაში შესახებ ოსმალთ-ბოლგარიის მორიგებისა პორტა აცხადებს, რომ მივიღეთ ყოველი იგი ცვლილება, რაც სახელმწიფოებმა მოისურვეს მორიგებაში მოხსენებულ სამხედრო ნაწილის გამო. ამ სახით მორიგება შემდეგ პირობათაგან იქნება შემდგარი: 1) გენერალ-გუბერნატორობა აღმოსავლეთს რუმელიაში, თანხმად ბერლინის ხელ-შეკრულობის 117 მუხლისა, ბოლგარიის მთავარს ჩაჰბარდება. 2) ცვლილებანი, რაც ორგანებურს სტატუტში ოთხის თვის განმავლობაში შემოტანილ იქნება ოსმალთ-ბოლგართა კომისიის მიერ, დასამტკიცებლად წარედგინებიან კონფერენციას და ამათ დამტკიცებამდე 2 ფებერვალს დადგენილი ოქმი ოსმალთ-ბოლგართა მორიგებისა იმოქმედებს. დასასრულ პორტა სთხოვს სახელმწიფოებს უბრძანონ თავიანთ ელჩებს, კონფერენცია გაჰმართონ სტამბოლში, რომ ოსმალთ-ბოლგარიის ახლად შეცვლილი მორიგება დაამტკიცონო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — ყოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

25 დღე სამშაბათი. წმ. ტარასი არხიეპ. კათ. ვიქტორინისა და ფელიქსისა. მუსულმანთა მე-4 დღე თვისა ჯემად-ულახირ 1303 ჰიჯრისა.

საქართველოს თავად-აზნაურობასაც რუსეთის თავად-აზნაურობის ღირსება ებოძა (1827.)

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—40. ტფილისში მზე ამოდის 6—22; ჩადის 6—1. მთვარე ამოდის 8—23; ჩადის 9—14 ღ.

26 დღე ოთხშაბათი წმ. პორფირი ეპისკოპ. კათოლ. პეპელეც. ალექსანდრესი და ფორტუნატისა. შობა მ. იმ. დიდ. იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს-ძისა (1845 წ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—10 25. ტფილისში მზე ამოდის 6—20; ჩადის 6—2. მთვარე ამოდის 8.-56; ჩადის 10—11 ღ.

27 დღე ხუთშაბათი. მოწ. პროკოპი ეპისკ. კათ. ლეონარდ ეპისკ. და ანასტასისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10—9. ტფილისში მზე ამოდის 6—18; ჩადის 6—3. მთვარე ამოდის 9—35. ჩადის 11—16 ღ.

28 დღე პარასკევი. წმ. ვასილ აღმსარებელისა, მოწ. ნესტორ ეპისკ. კათ. რომანოზისა და რუფინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—53. ტფილისში მზე ამოდის 6—17; ჩადის 6—4. მთვარე ამოდის 10—17; ჩადის 12 ღ.

მარტი 31 დღით არის

1 დღე შაბათი. ღირსისა ქალწ მოწ. ევდოკიისი. სომ წმ. თევდორე მხედართ-მთავარისა. კათოლ. ეპისკოპ. ალბანიისა, ანტონისა და ადრინისა.

პირველი ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუა დღე 13—9—36. ტფილისში მზე ამოდის 6—15; ჩადის 6—5. მთვარე ამოდის 11—5; ჩადის 12—17 ნღ.

წამებითი გარდაცვალება ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის-ძისა (1881 წ.)

2 დღე კვირა. წმ. მოწამე თეოდოტესი. ტახტზედ ასვლა მ. იმ. დიდ. იმპერატორის ალექსანდრეს-ძისა კათ. ელენესი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—19. ტფილისში მზე ამოდის 6—14; ჩადის 6—6. მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 1—16 ნღ.

3 დღე ორშაბათი. წმ. მოწამე ევტროპ, ზენონ, ზოილისა. კათ. კუნეგუნდი იმპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9—2 ტფილისში მზე ამოდის 6—12; ჩადის 6—7. მთვარე ამოდის 1—1; ჩადის 2—14 ნღ.

გამოსადეგი ცნობანი. მაზანდა.

1 თებერელიდამ 16-ლ მარტამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2¼ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა . . .	4½ „
მე-2 ხარისხისა . . .	3 „
მე-3 — . . .	2½ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა .	8 „
2 — . . .	7 „
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	9 „
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ. .	6 „
2-ის ხარისხ. . .	5 „

განცხადებანი

ПОДПИСКА
НА 1886 ГОДЪ
НА БОЛЬШУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ, ОБЩЕСТВЕННУЮ и ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ
„РУССКІЙ КУРЬЕРЪ."
ГОДЪ СЕДЬМОЙ.

Русскій Курьеръ выходитъ ежедневно въ форматѣ большихъ газетъ по слѣдующей программѣ:

I. Постановленія и распоряженія правительства.

II. Обзоръ политическихъ событій и общественной жизни; обсужденіе «вопросовъ дня.»

III. Хроника: извѣстія—придворныя, военныя, научыя, литературныя, художественныя, театральныя, музыкальныя, торговыя и др. Біографія и некрологи.

IV. Телеграммы.

V. Московскій дневникъ.

VI. Мнѣнія русской а иностранной печати по текущимъ вопросамъ.

VII. Жизнь Россіи: народное образованіе, земство, городское и крестьянское самоуправленіе, промышленность и торговля, дѣла духовенства и явленія въ области раскола; корреспонденціи изъ Россіи; извлеченія изъ журналовъ и газетъ.

VIII. Иностранныя извѣстія; корреспонденціи изъ-за границы; извлеченія изъ иностранныхъ газетъ.

IX. Литературный отдѣлъ: романы, повѣсти, очерки, разсказы, сцены, стихотворенія.

X. Фельетонъ: обзоръ явленіи внутренней жизни: литературная лѣтопись; обзоръ журналовъ; историческій листокъ; научная хроника; хроника заграничной жизни; театръ и музыка; желѣзнодорожная лѣтопись.

X 1. Критико-библіографическій отдѣлъ: статьи по разнымъ отраслямъ наукъ, искусствъ и промышленности.

XII. Судебная хроника: судебные процесы.

XIII. Разныя извѣстія. случаи, анекдоты и проч.

XIV. Справочный листокъ: свѣдѣнія—биржевыя, желѣзнодорожныя, театральныя и отвѣты редакціи.

XV. объявленія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою въ Москвѣ:		Съ пересылкою во всѣ города:		Заграницу:	
На годъ.	. 8 р. 50 к.	На годъ.	. 9 р. — „	На годъ.	18 р. — к.
6 мѣс.	. 4 „ 50 „	„ 6 мѣс.	. 5 „ — „	6 мѣс.	10 „ — „
3 „ .	. 2 „ 50 „	„ 3 „	. 2 „ 75 „	3 „	5 „ 50 „
1 „ .	. 1 „ — „	„ 1 „	. 1 „ 10 „	1 „	2 „ 20 „

1. Отдѣльные №№ изъ конторы изданія и у разносчиковъ—по 5 коп.
2. Подписка принимается съ 1-го по 1-е каждаго мѣсяца и не далѣе конца года.
3. Гг. иногородніе, при возобновленія подписки, благоволятъ прилагать свой печатный адресъ.
4. За перемѣну адреса городскаго и иногороднягo—30 коп. При перемѣнѣ городскаго на иногородній доплачивается разница въ цѣнѣ подписка.

ТАРИФЪ НА ОБЪЯВЛЕНІЯ:

за строку петита или за мѣсто, занимаемое ею:
НА ПЕРВОЙ страницѣ 20 коп. за стр. | На ЧЕТВЕРТОЙ стран. 10 к. за стр.

1. За украшенія объявленій взимается прибавка 10% съ суммы ст оимости объявленій
2. Доставляющимъ значительное количество объявленій дѣлается уступка.
3. За приложеніе объявленій въ форматѣ 1/8 газетнаго листа взимается по 5 рублей за 1,000 экземпляровъ; за объявленія-же большаго размѣра по 6 рублей за 1,000 экземпляровъ.
4. Объявленія библіографическія, рекламы, объ уничтоженіи довѣренностей, о потеряхъ, объ умершихъ, о желаніи давать уроки, о медицинскихъ средствахъ и т. п., принимаются не иначе какъ съ засвидѣтельствованіемъ подлежащаго начальства.

Подписка и объявленія принимаются въ Москвѣ въ конторѣ изданія, Москворѣцкіи мостъ, домъ Н. П. Ланина.

Контора изданія открыта по буднямъ отъ 9 до 5 ч., а по праздникамъ отъ 10 до 2 ч., редакція же—отъ 1 до 3 ч.

Редакторъ-Издатель Н. П. ЛАНИНЪ. (5—1)

Дозволено цензурою Тифлисъ 20 февраля 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.